ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დანართი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შ.პ.ს. „ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:

- [x] **დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;**
- [x] **საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;**
- [x] **საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;**
- [ ] პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: ხათუნა ბარაბაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: ციალა გაგმიძე

ირმა ხუციშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

II. დაწესებულების მისია

შ.პ.ს. "ინტერნაციონალური მაარიფის სკოლების საქართველოში" მისიაა: მოსწავლეებში საგანთა სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა, მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილელების გამოვლენა, მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარება, აქტიური მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობა და საფუძვლების შექმნა განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის ან შრომითი საქმიანობისთვის მოაზროვნე მაძიებელი, ახალის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხსიმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად.

III. სტანდარტები

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას

შეფასება:

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია მისია საფეხურების მიხედვით, რომელიც აღწერს საფეხურიდან-საფეხურზე გადასვლისას მოსწავლესთან მისაღწევ შედეგებს. ზემოაღნიშნული მისაღწევი შედეგები აქტივობებად ჩაშლილი კი - შესაძლებელია განვიხილოთ სადამრიგებლო პროგრამებში. სკოლის დირექციასთან ინტერვიურებით და დირექტორის ბრძანებით დგინდება, რომ კლასში მოსწავლეთა დასაშვები მაქსიმალური რაოდენობა არის 25 მოსწავლე. სკოლის მიერ გამოგზავნილ სასკოლო სასწავლო გეგმაში არ კონკრეტდებოდა სასწავლო პროცესის სწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დაწყებისა და დასრულების თარიღები, მოსწავლეთა რაოდენობა კლასებში, თუმცა ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა ზემოაღნიშნული დაზუსტებებით. სკოლის დირექციასთან ინტერვიურებით დაზუსტა, რომ სკოლა გამოხატავს მზაობას სკოლის მისიის შესასრულებლად უფრო კონკრეტული აქტივობები გაწეროს სასკოლო სასწავლო გეგმაშიც, იმ მოსწავლეთა კონტიგენტის გათვალისწინებით რომელსაც სკოლის ავტორიზაციის შემთხვევაში მიიღებს.

სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებია:

1. სკოლის მისია;
2. მიზნები საფეხურების მიხედვით;
3. სასკოლო წლის კალენდარი;
4. დღის რეჟიმი;
5. საათობრივი ბადე;
6. საგნობრივი კათედრები;
7. საგნობრივი რესურსები;
8. გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოები;
9. გათვალისიწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა;
10. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები;
11. შეფასების რუბრიკები;
12. შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა;
13. ინკლუზიური განათლება;
14. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
15. სადამრიგებლო პროგრამები;
16. IX და XI კლასებში სკოლების მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვა;
17. სასკოლო სასწავლო გეგმის გადახედვისა და გაუმჯობესების მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დასტურდება:

- **სასკოლო სასწავლო გეგმა;**
- **სკოლის დირექტორის ბრძანება.**

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები

შეფასება:

შ.პ.ს. "ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" სწავლება მიმდინარეობს:

1. დაწყებით საფეხურზე;
2. საბაზო საფეხურზე;
3. საშუალო საფეხურეზე.

სკოლა მოსწავლეებს ყველა იმ სავალდებულო საგანს სთავაზობს, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმითაა გათვალისწინებული, ხოლო გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებად კი სკოლა სთავაზობს:

1. ვოკალის;
2. ჭადრაკის წრეს სამივე საფეხურზე.

ცენტრში გადმოგზავნილ დოკუმენტებში არ მოიძებნა დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და პროგრამები, თუმცა ადგილზე მისვლისას სკოლამ წარმოადგინა ზემოაღნიშნული წრეების პროგრამები, რომლის მიზანიც მოსწავლეებისთვის თავისუფალი დროის სწორი მართვის უნარის ჩამოყალიბებაა, იმ სხვა უნარებთან ერთად რაც სკოლის მისიაში აქვს გათვალისწინებული. წარმოდგენილ პროგრამაში სკოლას გაწერილი აქვს წრეების მუშაობის დღეები. ჭადრაკის პროგრამა კი მოიცავს კლასების მიხედვით შემდეგ მონაცემებს:

თემატიკა, მიზანი, მეთოდები/სტრატეგიები, აქტივობები.

დამატებით ადგილზე მოწოდებულ სასკოლო სასწავლო გეგმაში, სკოლა სპორტის სახეობებად განსაზღვრავს კალათბურთს, ფრენბურთს და მაგიდის ჩოგბურთს, რომლებსაც განიხილავს გოგონებისთვის და ბიჭებისთვის გუნდური და ინდივიდუალური სპორტის სახეობების თანაბრად დაუფლების შესაძლებლობად. აქვე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია ბუნდოვნად ჩანდა გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში, თუმცა სკოლამ ექსპერთა ვიზიტის პირველივე დღეს წარმოადგინა დამატებითი მტკიცებულებები.

სკოლაში ფუნციონირებს ექვსი საგნობრივი კათედრა:

1. ქართული ენა;
2. მათემატიკისა და ისტ-ი;
3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
4. უცხოური ენები;
5. საზოგადოებრივი მეცნიერები;
6. ესთეტიკური აღზრდის;

ხოლო არჩევითი საგნის მასწავლებლები ერთიანდებიან შესაბამისი კათედრების გაერთიანებაში.

დოკუმენტაციის მიხედვით გაირკვა, რომ კათედრის სხდომები იმართება სემესტრში მინიმუმ ორჯერ. (მათ შორის სემესტრის დასრულებისას საგნის სწავლების შეჯამების და ანალიზის მიზნით).

სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალსიწინებულია კლასების საგნობრივი გაყოფა მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით (15 მოსწავლე) საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა და უცხოური ენები. უცხოურ ენებში სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დასაშვები განაყოფების დაკომპლექტებას მოსწავლეთა ენის ფლობის დონის გათვალისწინებით.

სასკოლო სასწავლო გეგმის სადამრიგებლო პროგრამაში, გაწერილია ის სავალდებულო პუნქტები, რაც ეროვნული სასწავლო გეგმითაა გათვალისწინებლი, ასევე სკოლის სადამრიგებლო პროგრამის ნაწილში გაწერილია კონკრეტული კლასების დამრიგებლები და რეკომენდაციები სადამრიგებლო საათების ჩატარებისთვის. სკოლამ წარმოადგინა სადამრიგებლო პროგრამები კლასების მიხედვით. შემთხვევითობის პრინციპით ექსპერტების მიერ შემოწმდა დაწყებითი (მეორე კლასი), საბაზო (მერვე კლასი) და საშუალო (მე-12 კლასი) სადამრიგებლო პროგრამები, პროგრამებში აღწერილია დამრიგებლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

ფუნქცია-მოვალეობები, რომელიც თავსებადია წარმოდეგნილ სასკოლო სასწავლო გეგმის სადამრიგებლო პროგრამის ნაწილთან. ასევე, სადამრიგებლო პროგრამაში წარმოდგენილია სამოქმედო გეგმა, რომელშიც ჩაშლილია კონკრეტული თემები შესაბამისი მიზნებით, სადამრიგებლო საათის ჩატარების გრაფიკი და თემატიკა. დაწყებითი კლასების სადამრიგებლო პროგრამებში გაწერილია თემატიკა და აქტივობები, ხოლო საშუალო საფეხურის სადამრიგებლო პროგრამაში თემატიკა გაწერილია შესასრულებელი თვეების მიხედვით. სადამრიგებლო პროგრამებში ასევე, გვხვდება მშობლებთან ურთიერთობის ინოვაციური ფორმები კონკრეტული დამრიგებლების მიერ გაწერილი. დირექციასთან ინტერვიურებით დადგინდა, რომ სკოლა მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების შეძენის გამომუშავებისთვის დიდ როლს ანიჭებს დამრიგებლებს. სადამრიგებლო პროგრამის ნაწილში დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობები დაწვრილებით იყო გაწერილი თემატიკის თუ აქტივობების მიხედვით.

სკოლამ წარმოადგინა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა IX და XI კლასების მოსწავლეთათვის. დოკუმენტტში გაწერილია გაკვეთილის გეგმები შესაბამისი მიზნითა და შედეგით. მაგალითად, მე-9 კლასის ერთ-ერთი გაკვეთილის მიზანი პროფესიის მახასიათებლების გაცნობა, კონკრეტული პროფესიის როლის გააზრება. შედეგად კი აღწერილია: პროფესიათა ბუნების გაცნობა, შემოქმდებითი აზროვნების ჯგუფური მუშაობის, ეფექტური კომუნიკაციისა და კოორდინაციის განვითარება.

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის დოკუმენტი;
- ინტერვიურებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.

შეფასება:
სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლება, რომელშიც გათვალსწინებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები, სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლების პუნქტები ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. სკოლის საშტატო განრიგში გათვალისწინებულია: ინკლუზიური განათლების კოორდინატორის და ფსიქოლოგის თანამდებობა. ასევე, სკოლის დებულებაში გაწერილია ორივე მათგანის ფუნქცია-მოვალეობები.

დასტურდება:
- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- სკოლის დებულებით;
- საშტატო განრიგით;
- ვიზუალური დათვალიერებით;

1.4. სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

შეფასება:
სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმით მოსწავლის შეფასების სისტემა, რომლის მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც ერთის მხრივ გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას, მეორე მხრივ სწავლა - სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ. ასევე სსგ შეფასების ნაწილში განხილულია მოსწავლის შეფასების ამოცანები, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, მოსწავლეთა განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, ოფიციალური სტატუსის მქონე ნიშნები, საგნის სემესტრული ნიშნის შემადგენელი ნაწილები (კომპონენტები), შემაჯამებელი დავალებების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

ქულების გამოანგარიშების, კლასებისა და საფეხურის დაძლევის, შეფასებისა და გაცდენების წესები.

სკოლას აქვს ესგ შესაბამისად შემდეგი გამოცდების ტიპები:

- სემესტრული გამოცდა;
- წლიური (სასწავლო წლის დამამთავრებელი) გამოცდა;
- საშემოდგომო გამოცდა;
- ექსტერნის გამოცდა;
- სკოლის გამოსაშვები გამოცდა.

2019-2020 სასწავლო წელს სკოლაში წლიური გამოცდა არ იგეგმება, ასევე საშემოდგომო გამოცდებს სკოლა ჩაატარებს ტესტირების ფორმით.
სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიურებითან ირკვევა, რომ სკოლა მოსწავლეთა მიღების შემდეგ კიდევ უფრო დააკონკრეტებს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებელ გზებს, მოსწავლეთა კონტიგენტის მიხედვით. ასევე, სასკოლო სასწავლო გეგმაში სადამრიგებლო პროგრამის ნაწილში დამრიგებლის ერთ-ერთ მოვალეობად გაწერილია: აქტიურად თანამშრომლობა მშობლებთან, სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა მოსწრებისა და ქცევის შესახებ ინფორმაციის სისტემატიურად შეგროვება, თითოეული მოსწავლის აკადემიური მოსწრების კონტროლი და მშობლისთვის შვილის აკადემიური მოსწრებისა და ქცევის შესახებ შეტყობინება.

სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო სასკოლო სასწავლო გეგმის დანართი: 1. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში გაწერილია რუბრიკის ფორმები, რომელიც მოიცავს ინდიკატორებს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

ასევე, სკოლამ წარმოადგინა სკოლის სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მართვის სქემა. სადაც გაწერილია პროცესის განხორციელების გეგმა და პასუხისმგებელი პირები. სკოლას გამოყოფილი აქვს პრიორიტეტები და შეაბამისი ზოგადი აქტივობები. მაგალითად: კულტურული მრავალფეროვნება - გასვლითი ღონისძიებები, ექსკურსიები, საერთაშორისო პროექტებში მოსწავლეთა ჩართულობა, საქართველოს სხვა სკოლებთან თანამშრომლობა, ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდა და ა.შ. ამავდროულად სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმის ფორმა. მასწავლებლებთან ინტერვიურებით დგინდება, რომ სკოლამ მათ ჩაუტარა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

ტრენინგები შეფასების თემაზე, თუმცაღა ინტერვიურების დროს იკვეთებოდა, რომ პედაგოგებს უფრო მეტი სიცხადე სჭირდებათ აღნიშნლ საკითხებზე, ხოლო დირექცია გამოხატავს მზაობას, დააკმაყოფილოს პედაგოგთა პროფესიული განვითარების საჭიროებები. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი იყო შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. პედაგოგებთან ინტერვიურებით დადგინდა, რომ ისინი გეგმავენ მრავალფეროვან შემაჯამებელი დავალებების ჩატარებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმა და შემაჯამებელი დავალებების საინფორმაციო ფურცელი.

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- ინტერვიურებით;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმა;
- შემაჯამებელი დავალებების საინფორმაციო ფურცელი.

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

შეფასება:

სკოლის შინაგანაწესში გაწერილია მშობლებთან ურთიერთობის წესი. მშობლებთან შეხვედრისთვის განსაზღვრულია ყოველი კვირის პარასკევი დღე 13:00 დან 16:00 საათამდე. ასევე სადამრიგებლო პროგრამაში დამრიგებლის ერთ-ერთ მოვალეობად განსაზღვრულია მშობლის ინფორმირება მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ. სკოლამ წარმოადგინა პოლიტიკის დოკუმენტი სკოლის და მშობლებლების მიერ სასკოლო დროს ორგანზიებულ ექსკურსიებთან დაკავშირებით და ფორმები, რომელიც უზრუნველყოფს მშობლის როლის წარმოჩენას სასკოლო ცხოვრებაში.

დასტურდება:

- სკოლის შინაგანაწესი;
- პოლიტიკის დოკუმენტი სკოლის და მშობლების მიერ სასკოლო დროს ორგანზიებულ ექსკურსიებთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

- ინტერვიურებით.

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

შეფასება:

დაწესებულებამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომ გაუმჯობესების მექანიზმის დოკუმენტი სასკოლო სასწავლო გეგმის დანართის სახით. სადაც გაწერილია. მაგალითად: საკითხი, პასუხისმეგებლი პირი შესრულების ვადა და შედეგები. პედაგოგებთან ინტერვიურების დადგინდა, რომ კათედრის სხდომაზე გაეცნენს სკოლის სასწავლო გეგმას, თუმცაღა მის შექმასა და გაუმჯობესების გზებზე ძირითადად იკვეთება უფრო მეტად დირექციის ჩართულობა.

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმის ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმი;
- ინტერვიურება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი.

შეფასება:

დაწესებულება მდებარეობს ქ. თბილისში, გზატკეცილი რუსთავის #18-20, ნაკვეთი 7/31, საკადასტრო კოდი 01.12. 007.03. სკოლას იჯარით აქვს აღებული ფართი:

სკოლას 2019 წლის 1 თებერვალს - 2025 წლის 1 აგვისტომდე 6 სასწავლო წლის ვადით იჯარით აქვს აღებული „შ.პ.ს.ფონიჭალა 1"- განს საერთო ფართით 5130.00 კვ,მ N1 შენობა, N2 შენობა (რომელიც მოცემული მომენტისთვის გამოუყენებელია).საიჯარო ხელშეკრულება #

.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა ერთი მისამართების მიხედვით:

№	ქ. თბილისში, გზატკეცილი რუსთავის #18-20, ნაკვეთი 7/31	ფართი (კვ.მ)
	იჯარით აღებული (შენობა N1,2 - ში)	5130.00

დასტურდება:

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 01.18.12.007.031 14/02/2019;
- იჯარის ხელშეკრულება შ.პ.ს „ფონიჭალა 1" – 2019 წლის 1 თებერვალი;
- შენობის აზომვითი ნახაზი.

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დაწესებულებას აქვს 31 საკლასო ოთახი თითოეული ოთახის ფართია 35 კვ.მ და მეტი, ამათგან 20 საკლასო ოთახში განთავსებულია სულ 500 ერთადგილიანი მერხი და 500 სკამი სულ 500 მოსწავლეზე გათვლილი. ოცივე საკლასო ოთახში არის მასწავლებლის მაგიდა, სკამი, სასკოლო დაფა და სხვა აუცილებელი ავეჯი. ამის გარდა დაწესებულებაშია: ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, სადაც ასევე მუშაობს სკოლის ადმინისტრაცია, ექთნის ოთახი, დარაჯის ოთახი, სასადილო, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ასევე სკოლას გააჩნია დამხმარე ოთახები და 4 დიდი ფართის ოთახი, რომლებიც სავსებით შესაძლებელია გამოიყენონ ფიზიკური აღზრდის, ლაბორატორიებისა და საკლუბო მუშაობებისთვის.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- სასაქონლო ზედნადებებით;
- ჩუქების დოკუმენტაციით;
- საინვენტარიზაციო ჩამონათვალით.

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

შეფასება:

სკოლას აქვს სპორტული დარბაზი ფართით 139 კვ.მ. სპორტული დარბაზი, რომელშიც მოხვედრა შესაძლებელია გარე ფასადიდან, დარბაზთან მისასვლელი გზა მოსწავლეთათვის საფრთხის შემცველია, რადგან შენობაზე განთავსებულია რკინისა და ბეტონის კონსტრუქციები, სარინელი გამოდის პირდაპირ სავალ ნაწილზე, რომელიც თავის მხრივ მოსაწესრიგებელია და გენერატორის სადენები მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომია. დარბაზს არ გააჩნია გასახდელები, თუმცა სკოლას აქვს იმის საშუალება, რომ მცირე რეკონსტრუქციის განხორციელების შემთხვევაში მოხვდნენ სპორტულ დარბაზში შიდა გასასვლელით და მოაწყონ სველი წერტილები და გასახდელები. დარბაზში განთავსებულია 2 ცალი ჩოგბურთის მაგიდა ბურთებითადა ჩოგნებით. ასევე გააჩნიათ 3 კალათბურთის, 3 ფრენბურთის და 3 ცალი ფეხბურთის ბურთი, რკალი 6 ცალი და 6 ცალი სახტუნაო, დაგებულია 8 ცალი მცირე ზომის ტატამი.

სკოლას აქვს ღია სპორტული მოედანი, სადაც მოწყობილია ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნები.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიურებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- 2019 წლის, 1 თებერვლის იჯარის ხელშეკრულებით;
- სასაქონლო ზედნადებებით.

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები

შეფასება: სკოლას გააჩნია საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორია.

საბუნებისმეტყველო ლაბორატორია: აღჭურვილია სპეციალური მაგიდებით (10 ცალი მაგიდა - 30 მოსწავლეზე), წყალგაყვანილობის სიტემით, გამწოვი კამერით, ქიმიური ჭურჭლით, მოდელებითა და ელ. მოწყობილობებით (ფიზიკის სწავლებისთვის). ასევე განთავსებული ჭურჭლის და რესურსების შესანახი კარადები (4 ცალი); კომპიუტერი და პროექტორი.

კომპიუტერული ლაბორატორია: აღჭურვილია 30 სპეციალური მაგიდითა და 30 პერსონალური კომპიუტერით. ლაბორატორიაში სტაციონალურად დამაგრებულია 1 ცალი პროექტორი.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- მიღება ჩაბარების აქტებით;
- სასაქონლო ზედნადებებით;
- ინტერვიურებით.

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

შეფასება:

დაწესებულებას აქვს ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ყველა ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. სკოლის ნაწილი თბება სკოლაში დამონტაჟებული ბუნებრივ აირზე მომუშავე გათბობის სისტემით. სკოლას მიეწოდება ასევე ბუნებრივი აირი და წყალი. სკოლას აქვს 13 სველი წერტილი, მათ შორის ერთი ადმინისტრაციისათვის და ორი ადაპტირებული სსსმ მოსწავლეთათვის. საქვაბე ემიჯნება სკოლის შენობას (ზედ შენობაზეა მიდგმული), რაც ჩვენი აზრით საფრთხის შემცველია მოსწავლეთა სიცოცხლისათვის და აუცილებელია შენობიდან 3-5 მეტრის დაცილებით გადაადგილდეს.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

- გადახდის ქვითრებით.

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით

შეფასება:

სკოლას აქვს საკუთარი ბიბლიოთეკა, რომელიც ფუნქციონირებს დირექტორის მიერ დამტკიცებული ბიბლიოთეკის დებულებით. ბიბლიოთეკაში სამკითხველო და წიგნსაცავი ერთ სივრცეშია. ბიბლიოთეკაში არის 2 ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი (ლეპტოპი). ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდია 491 ერთეული (მხატვრული ლიტერატურა და გრიფმინიჭებულო სახელმძღვანელოები ყველა კლასისთვის). ყველა წიგნი აღრიცხულია სათანადო წესით. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი და დებულება. ბიბლიოთეკართან გაფორმებულია ხელშეკრულება.

ბიბლიოთეკაში სრულად არის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული I – IV კლასის და VIII – XII ყველა სახელმძღვანელო, ხოლო VII კლასის სახელმძრვანელოები ვერ წარმოდგინეს, რადგან ვიზიტის მომენტისათვის არ იყო დაბეჭდილი ახალი სახელმძღვანელოები.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ბიბლიოთეკის დებულებით;
- საინვენტარიზაციო წიგნითა და ანბანური კატალოგით.

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

შეფასება:

სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთათვის. მათ შორის პანდუსი და სველი წერტილები, რომელიც განთავსებულის შენობის პირველ და მეორე სართულებზე. ასევე სკოლას აქვს რესურს ოთახი და სართულებზე გადაადგილება შესაძლებელია პანდუსების მეშვეობით.

ამ მომენტში სკოლას არ ჰყავს მოსწავლე, რომელსაც შეზღუდული აქვს გადაადგილების უნარი.

დასტურდება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

- ვიზუალური დათვალიერებით.

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი (სპეციფიკაციები) არა უმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას

შეფასება:

სკოლაში არის სულ 39 პერსონალური კომპიუტერი და 2 ლეპტოპი, 5 პროექტორი, 3 პრინტერი (კომბაინი). ამათგან 30 კომპიუტერი განთავსებულია ლაბორასტორიაში, 2 ლეპტოპი კომპიუტერი ბიბლიოთეკაშია, ერთი ლეპტოპი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიში და დანარჩენი ადმინისტრაციაში. ყველა კომპიუტერი არის ინტერნეტში ჩართული. სკოლას ნაყიდი აქვს სივრცე ვებ.გვერდისათვის.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- სასაქონლო ზედნადებებით;
- დომენის ხელშეკრულებით;
- ინტერნეტის მოწოდების ხელშეკრულება 'მაგტისთან" და „გლობალ +" თან.

2.6 სკოლაში დცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

შეფასება:

ა) დაწესებულებას აქვს სკოლის დირექტორის ბრძანების პროექტი „საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის ოპერაციული შტაბის შექმნის შესახებ.

დაწესებულებაში არის 16 ცალი ცეცხლმაქრი, რომლებიც არის დამუხტული, ასევე სკოლის შენობებში ყველა სართულის დერეფანში დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო დეტექტორები.

ბ) სკოლაში ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, რომელიც დამზადებულია შესაბამისი უფლებამოსილი სამსახურის მიერ.

გ) სკოლის დებულებაში გაწერილია ექთნის ძირითადი ფუნქციები და მოვალეობები. სკოლაში არის სამედიცინო ოთახი, კარადა აღჭურვილი აუცილებელი მედიკამენტებით. სკოლას ჰყავს ექიმი, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება.

დ) სკოლას ყავს დარაჯი და დაცვის სამსახური.

ე) სკოლაში დამონტაჟებულია სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისი უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შემოსასვლელსა და შიდა პერიმეტრის საკვანძო წერტილების კონტროლს. სკოლას აქვს 16 ერთეული შიდა ხედვის კამერა, 12 გარე ხედვის კამერა. გარე ხედვის კამერები აკონტროლებენ სკოლის მთავარ შესასვლელს და შენობა N1 და N2 შესასვლელებს. გარე კამერები შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სკოლის დებულება;
- საევაკუაციო გეგმებით;
- სამედიცინო კაბინეტით;
- კამერების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

- ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულებით;
- სასაქონლო ზედნადებით.

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები

შეფასება:

სკოლას შემუშავებული აქვს წესდება და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი, სადაც გაწერილი თანამშრომელთა მიღების, სხვა სამუშაოზე გადაყვანის და დათხოვნის წესი, სამუშაო დრო და პირობები, შვებულების მიცემის წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, თანამშრომელთა ინფორმირების წესი, სამსახურში არყოფნის ინფორმირების წესი და ღონისძიებები, წახალისება, შრომის დისციპლინის დარღვევა, მასწავლებლის, მშობლის უფლება-მოვალეობები, მოსწავლის ვალდებულებები, მოსწავლის წახალისება და შეუფერებელი ქცევის შედეგები, სკოლის შიდა კონტროლის სისტემა. სკოლას აქვს საშტატო განრიგი, რომელიც შესაბამისობაშია სკოლის შინაგანაწესთან. ასევე სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულება, სადაც დეტალურადაა გაწერილი სკოლის თანამშრომელთა ძირითადი მოვალეობანი, ადმინისტრაციის ვალდებულებანი,

დასტურდება:

- სკოლის შინაგანაწესით;
- სკოლის წესდება;
- სკოლის საშტატო განრიგით;
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულება.

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

შეფასება:

დაწესებულებას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების ერთწლიანი და ექვსწლიანი გეგმა 2019 – 2024 წწ. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შემუშავებულია სკოლის მიზნებზე დაყრდნობით, გამომდინარეობს სკოლის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმიდან და მიზნად ისახავს სკოლის ამოცანების შესრულებას, თუმცა აღსანიშნავია,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

რომ გრძელვადიანი გეგმის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი: ინტერნაციონალიზაცია, არ შეესაბამება, ერთის მხრივ მისიასთან და მეორეს მხრივ სამოქმედო გეგმასთან. ჩვენი ეს მოსაზრება დადასტურდა ინტერვიუების დროსაც.

დასტურდება:

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმით;
- ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუებით;
- სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმით.

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

შეფასება:

სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა სკოლის საქმის წარმოების წესის მიხედვით. იწარმოება შემდეგი აღრიცხვის ჟურნალები: სხვადასხვა ტიპის ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი, შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი, გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი; შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი, მოსწავლეთა ანბანური ჟურნალი, რომლებიც აკინძულია წესის შესაბამისად.+

დასტურდება:

- თანამშრომელთა ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალით;
- შემოსული დოკუმენტების აღრიცხვის ჟურნალით;
- გასული დოკუმენტების აღრიცხვის ჟურნალით;
- საკადრო ტიპის ბრძანებების ჟურნალით;
- საერთო ტიპის ბრძანებების ჟურნალით.

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი

შეფასება:

სკოლას შემუშავებული აქვს 2019-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი. სწავლებას ახორციელებს 14 პრაქტიკოსი და 2 უფროსი მასწავლებლით. გარდა ამისა, სასკოლო სასწავლო გეგმის შესრულებაზე ზრუნავს სკოლის დირექცია, რომლის შემადგენლობაში შედის:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სკოლის დირექტორი, ბუღალტერი. ასევე სკოლას 2018-2019 სასწავლო წლის საშტატო განრიგით გათვალისწინებული ჰყავს შემდეგი პერსონალი: დირექტორი, დირექტორის მოადგილე -2, იურისტი - 1,, ბიბლიოთეკარი - 1, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - 1, დირექტორის მრჩეველი -1, ფსიქოლოგი -1. ინკლუზიური განათლების კოორდინატორი - 1, ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი - 1, ბუღალტერი - 1, საქმისმწარმოებელი -1, დაცვასა და უსაფრთხოებაზე პასუხიმგებელი პირი - 2, ექიმი - 1, მასწავლებელი - 50, საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელი - 6.

დადასტურდება:

- პირადი საქმეებით;
- ტექნიკურ პერსონალთან და პედაგოგებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით და პირადი საქმეებით;
- 2019-2020 წლების სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- 2019-2020 სასწავლო წლის შინაგანაწესის;
- 2019-2020 სასწავლო წლის საშტატო განრიგი.

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

შეფასება:

სკოლის პედაგოგები შერჩეული არიან სასკოლო სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლის ზოგიერთი პედაგოგის კვალიფიკაცია, მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შეესაბამება საქართველოს კანონის ,,ზოგადი განათლების შესახებ" და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, ხოლო ჰყავთ 6 მასწავლებელი, რომელიც არ არის სქემაში ჩართული.

სულ ხელშეკრულება გაფორმებული აქვთ 41 მასწავლებელთან, მათგან 24 უფროსი მასწავლებელია, 11 პრაქტიკოსი, 6 მასწავლებელი არ არის სქემაში ჩართული, რადგან სკოლა არ არის ჯერ ავტორიზებული, თუმცა აკმაყოფილებენ მასწავლებლის კვალიფიკაციას.

დასტურდება:

- პირადი საქმეებით.

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შეფასება:

სკოლის შინაგანაწესში გაწერილია: თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა.

დასტურდება:

- სკოლის შინაგანაწესით.

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები

შეფასება:

სკოლამ წარმოადგინა პედაგოგებიის შრომითი ხელშეკრულება, რომლებიც ძალაში შევა 2019 წლის სექტემბრიდან. ხელშეკრულება მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას: ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების საგანი, სამუშაოს შესრულება, ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები, შრომის ანაზრაურება, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, კონფიდენციალურობა, შრომითი დავების გადაწყვეტა, გარდამავლი დასკვნითი დებულებები, მხარეთა რეკვიზიტები და ხელომოწერა.

დასტურდება:

- მასწავებლებთან გაფორმებული ხელშეკრულობებით;
- ადმინისტრაცია/დირექციასთან გაფორმებული ხელშეკრულება.

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები

შეფასება:

სკოლამ წარმოადგინა ხარისხის განვითარების დოკუმენტი და სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნილი წერილი პედაგოგთა „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში“ ჩართვასთან დაკავშირებით. ხარისხის განვითარების დოკუმენტში გაწერილია აქტივობები, შესაბამისი შესრულების დროის, პასუხსიმგებელი პირი, ადამიანური რესურსის პროფესიულ განვითარების მიმართულებები და მექანიზმები. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი შ.პ.ს. „ლიბო MNT“.

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმების დოკუმენტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმების დოკუმენტი;
- ინტერვიუებით;
- მემორანდუმი შ.პ.ს. „ლიბო MNT“ 19/02/2019.

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

შეფასება:

სკოლის ადმინისტრაციას აქვს ხედვა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეუქმნას თანამშრომლობითი გარემო, გათვალისწინებული აქვთ სივრცეები მოსწავლეთა დამოუკიდებელი და საკლუბო მუშაობისთვის. ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენას.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- სკოლის შინაგანაწესით;
- ინტერვიურებით.

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველი სამი საფეხურის განხორციელება ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დაკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

IV. თანდართული დოკუმენტაცია

თბილისი 22.08. 2019 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.